

მლინარე ვერეს გადახიდვის სამუშაოები თბილისში, გმირთა მოედანთან.

რთველი გაჩაღდა სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

მინერალური წყლის ანალიზი საწარმო გაერთიანება „ბორჯომის“ ცენტრალურ ლაბორატორიაში.

პირუტყვის საკვების წელიწადნახევრის მარაგს აგროვებენ ზემომაჩხაანის კოლმეურნეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 სექტემბერი ხუთშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 214 (16035)

პროფტექნიკური განათლების დიდი სიკეთე

ამუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების ხარისხის შეუნელებელი ამაღლება ნაკარნახევია ცხოვრებით. ამის უპირველეს საჭიროებას ხაზგასმით აღნიშნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავიანთ ცნობილ დადგენილებაში — პროფესიულ-ტექნიკური განათლების ხისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმმა რესპუბლიკაში განათლების აღნიშნული ხისტემის წინაშე პასუხსაგები ამოცანები დასახა, რომ ხისტემის აღზრდილმა ათასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა წარმატებით გაართვას თავი დაკისრებულ მოვალეობას უშუალოდ წარმოებაში. ისინი ხომ აქტიური მებრძოლნი იქნებიან იმ ამოცანების განხორციელებაში, რაც ჩვენი რესპუბლიკის ხახალო მეურნეობას დაუსახეს პარტიამ და მთავრობამ.

რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების 1973-1974 სასწავლო წლის შედეგები გვიჩვენებენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი სრულყოფის თაობაზე პარტიისა და მთავრობის ცნობილი დადგენილებების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის შეუნელებელ ბრძოლას. თუ რა ადგილი უნდა დაიკავოს ამ ხისტემის განათლებამ პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, ნათლად არის მოცემული საკავშირო ალკკ XVII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში: „დიად საქმეს — კომუნიზმის მშენებლობას წინ ვერ წავიწევთ, თუ ყოველმხრივ არ განვავითარეთ თვითონ ადამიანი. ადამიანთა კულტურის, განათლების, ხაზოგადოებრივი შეგნების, შინაგანი ხიმწიფის მაღალი დონის გარეშე კომუნიზმი შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია ივი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე!“

დღეს ჩვენ რესპუბლიკაში 82 პროფტექნიკური ხასწავლებელი გვაქვს ნაცვლად ორი წლის წინათ არსებული 70 ხასწავლებლისა, მარტო 32 — საშუალო პროფტექნიკური ხასწავლებელია. გაშლილი ბრძოლა წარმოებს ხასწავლებელთა ჯეროვნად დაკომპლექტებისა და ხასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. ეს ხომ მუშათა კადრების აღზრდისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის ნათელი დადასტურებაა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა უკანასკნელ წლებში მკვეთრი გარდატეხა მოახდინა ხასწავლებლის მუშაობაში და მას სრულყოფისა და გაუმჯობესებისაკენ წარმართავს. ხისტემის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის პროცესის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, მოსწავლეთა მაღალი ზოგადი განათლებისა და მყარი პრაქტიკული ჩვევებისათვის. მთავარი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა საწარმოო სწავლების სწორ ორგანიზაციას, რომელშიც დიდი საწარმოო სწავლების ოსტატის როლი. მან უნდა განსაზღვროს თუ რა ჩვევებსა და ხერხებს უნდა დაეუფლოს ახალგაზრდა საწარმოო სწავლების პროცესში. ამიტომაც ოსტატებს თავად მართებთ სრულყოფილად იყოს დაუფლებულნი მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ამასთან საშუალო პროფტექნიკურ ხასწავლებლებში ახალგაზრდას უნდა მივცეთ ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნა იმ მოცულობით, რაც ხაშუალო სკოლის პროგრამით არის გათვალისწინებული. მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს თბილისის მე-6, მე-11, 38-ე, ფოთის მე-12, ხოსუმის 45-ე და სხვა ხასწავლებელთა კოლექტივებმა. საწარმოო სწავლებაში მოსწავლეთა წარმატებამ შეადგინა 99, 81 პროცენტი, თეორიულ სწავლებაში მოსწავლეთა აკადემიური წარმატების პროცენტია 98,82. ყოველივე ამას ხელი შეუწყო კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის გაუმჯობესებამ, მოსწავლეთა ტექნიკურმა შემოქმედებამ, პროფესიაში საუკეთესოს წოდებისათვის კონკურსებმა, გოგონებისა და ჭაბუკების უფრო აქტიურმა მონაწილეობამ საზოგადოებრივ დავალებათა და სასკოლო შინაგანაწესის შესრულებაში.

ამ საერთო წარმატებების გვერდით, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს ჩრდილოვანი მხარეები ახალგაზრდობის როგორც სწავრმოო, ისე თეორიულ სწავლებაში. სერიოზული ნაკლოვანებებია ხასწავლო პროცესის ხელმძღვანელობისა და კონტროლის საქმეში, ზოგან სუსტად ისწავლება სპეციალური და ზოგადსაგანმანათლებლო საგნები. ცალკეული საგნების ხასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ სწავლების სათანადო დონეზე დაყენებას წულუკიძის მე-9 ხასწავლებელში, დაბალია მათემატიკის სწავლების დონე თბილისის მე-6 და მე-18 ხასწავლებლებში. დღეისათვის რესპუბლიკის ხასწავლებლებს პირველდაწყებითი საწარმოო სწავლებისათვის არ ჰყოფნით 6 ათასი ხასწავლო ადგილი, რის გამოც სწავლება ზოგჯერ უშუალოდ საბაზო საწარმოებისა და ორგანიზაციების ობიექტებზე ხდება. ხასწავლო ხელოსნებისა არა აქვთ მე-16, მე-20, 22-ე, 23-ე, 37-ე, 39-ე 41-ე, 50-ე, 58-ე და 64-ე ხასწავლებლებს; არადამაკმაყოფილებელია ხასწავლო კაბინეტების მუშაობა.

ორ წელიწადზე მეტია შეურიგებელი ბრძოლა წარმოებს რესპუბლიკაში წარსულისაგან დაღოვებული ნეგაატიური გავლენების აღმოსაფხვრელად. პარტიული ორგანიზაცია დიდ გამჯანსაღებელ მუშაობას ეწევა ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე. პროფტექნიკური განათლების ხისტემის ხასწავლებლების პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები, პედაგოგთა და ოსტატთა კოლექტივებიც ქმედითად იბრძვიან ჩვენი საზოგადოებისათვის ისეთი უცხო მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მოშვებულობა, უქნარობა, უდისციპლინობა, მომხვეჭელობა, სოციალისტური ცხოვრების ნორმების დარღვევა.

პარტიამ და მთავრობამ, სოციალისტურმა სახელმწიფომ, კომუნიზმის მშენებელმა ხალხმა დიდი ამოცანები დააკისრეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების ხისტემას. ეჭვი არ არის, რომ ამ ხისტემის ხასწავლებლები ჩვენს რესპუბლიკაშიც ყველაფერს იღონებენ მუშათა კლასის ლრსეული ცვლის აღსაზრდელად.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს № 4 ღუმელის მეფოლადეთა კოლექტივი დაევალა საპატიო ამოცანა — 12 სექტემბერს საიუბილეო 25-ე მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობა.

სურათზე: საიუბილეო დნობის მონაწილენი (მარცხნივ) № 4 ღუმელის მეფოლადეთა ბრიგადირი ილია ხარანაული, ხელშემწყობები გიორგი შუბითიძე და ტარიელ კუდავა.

ფოტოზე საიუბილეო დნობის შესახებ ინფორმაციის 3-ე გვერდზე.

ს. კილაძის ფოტო.

ჩილელ ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო კვირეულისადმი მიძღვნილი საგჭოჭა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრების მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

მხურვალედ მიგესალმები ჩილელ ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო კვირეულისადმი მიძღვნილი საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრების მონაწილეებს, და თქვენი სახით ყველა საბჭოთა ადამიანს, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩილელ დემოკრატებს სამხედრო-ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ მამაცურ ბრძოლაში. დიდი პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობით მივმართავ აგრეთვე სახალხო ერთიანობის წარმომადგენლებს, რომლებიც ამ კრებას ესწრებიან.

ერთი წლის წინათ ჩილეს სამხედრო ხუნტამ საზღვარგარეთის იმპერიალისტური წრეების წაქეზებით ჩაიდინა ავაზაკური დანაშაული — მოკლა ქვეყნის კონსტიტუციური პრეზიდენტი, გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე სალვადორ ალიენდე, დაამხო სახალხო ერთიანობის მთავრობა და ქვეყანაში სისხლიანი დიქტატურა დამყარა. ათასობით დახოცილი და ნაწამები, სპეციალურ ბანაკებში ჩასმული, ეროვნული ბანაკებში გამომწყვდეული, ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს მოკლებული, დევნის გამო სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანი — ასეთია ამ უბედურებათა არასრული სია, რომლებიც თავს დაატეხა ხუნტამ ჩილელ ხალხს.

საბჭოთა კომუნისტები, მთელი ჩვენი ხალხი იყვნენ იმათ შორის, ვინც მაშინვე გადაჭრით დაგმო სამხედრო გადატრიალება. ისევე როგორც წინათ, ჩილეს სახალხო მთავრობის დროს, ახლაც, როცა სასტიკად უსწორდებიან მის მომხრეებს, საბჭოთა ადამიანები ჩილეს დემოკრატიული, ანტიფაშისტური ძალების მხარეზე არიან. საბჭოთა საზოგადოებრიობა ერთის აქტიურად მონაწილეობს ჩილელ დემოკრატებთან სოლიდარობის საერთაშორისო მოძრაობაში, რომელმაც მსოფლიო გაქანება მოიპოვა და სხვადასხვა შეხედულებისა და მრწამსის მილიონობით ადამიანი მოიცვა.

დღეს ჩვენ მეგობრულად მივესალმებით და მხარს ვუჭერთ ჩილელ პატრიოტებსა და დემოკრატებს, კომუნისტებს, სოციალისტებს, ყველა სხვა ჩილელ ანტიფაშისტს, რომლებიც ვოქაცურად იბრძვიან თავიანთი ხალხის თავისუფლებისათვის ან საპყრობილეების დილეგებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან. დარწმუნებული ვართ, რომ სოლიდარობის ჩვენს ხმას გაგონებენ სოციალისტური პროგრესისა და სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მამაცი მებრძოლი ამხანაგი კორვალანი, რომელსაც გულწრფელად ვცემთ პატივს, აგრეთვე სახალხო ერთიანობის სხვა ხელმძღვანელები, ყველა ჩილელი პოლიტიკური პატიმარი, რომელთა სიცოცხლე დიდ საფრთხეშია.

მოვუწოდებთ სხვა ქვეყნების პარტიათა და თანამრომბათა ხელმძღვანელებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ მოძრაობებს — ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და დემოკრატიის იდეალები, ვისაც არ შეუძლია გულგრილად უცქიროს ჩილელი ხალხის ტრაგედიას, განაბორიელონ და გაამრავლონ ლონისძიებანი, რათა მიაღწიონ დემოკრატთა წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების შეწყვეტას ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებასა და თვითნებობისა და უკანონობის აღკვეთას ჩილეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელით აღვუთქვამ ყველა ჩილელ პატრიოტსა და დემოკრატს, რომ მტკიცედ ვუჭერთ მხარს მათს სამართლიან ბრძოლას.

დაე მტკიცდებოდეს ჩილეს დემოკრატიული ძალებისადმი სოლიდარობის მოძრაობა!

გაუმარჯოს თავისუფლებისმოყვარე ჩილელ ხალხს!

ლ. ბრეჟნევი.

1974 წლის 11 სექტემბერი.

ეს დღეები სოფლად

რთველი ხირსაში

რეპორტაჟი

რთველის პირველი დღეებია სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. ჯერ სუფრას ჯიშები მოიკრიფა, გუშინ კი რქაწითელით დატვირთული მანქანები ხირსა-ტიბანის ღვინის ქარხანას მიადგა.

—გეგმა-გრაფიკის მიხედვით რთველი თორმეტ სამუშაო დღეში უნდა დავამთავროთ,— გვეუბნება ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. დავითაშვილი. მას ხირსის ღვინის ქარხანაში შევხვდით. ქარხნის დირექტორს მ. ფერაძეს ესაუბრებოდა.

სამასზე მეტი ადამიანი შესულიყო ამ დღეს ხირსის ვენახებს. ყველა შეკიბრებაშია ჩაბმული და თავის შერცხვენა არავის უნდა. გამარჯვებულთათვის დაწესებულია დროშები, ვიმპელები, ფასიანი საჩუქრები.

ეს პირველი რთველია უკანასკნელ სამ წელიწადში, როცა ხირსელები გეგმა-ვალდებულებას პირნათლად ასრულებენ — მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩაბარებენ 2.000 ტონა ყურძენს.

— დიდი შრომა, ენერგია გაიღეს ამისათვის ჩვენმა მევენახეებმა. თავის დროზე ჩატარდა ხვნა, კულტივაცია, რწყვა, ფურჩვნა, ბორდოს სითხით წამლობა და ვინ მოთვლის კიდევ რა, — გვეუბნება მთავარი აგრონომი თინათინ ნანობაშვილი. ის ოც წელზე მეტია ამ მეურნეობაში მუშაობს.

მევენახეებს შრომა დაუფასდათ. ეს მათ ასარებს. ჰექტარზე საშუალოდ 60-65 ცენტნერს, ზოგან კი უფრო მეტს მოელიან. პირველი და მესამე ბრიგადები (ბრიგადირები ი. მჭედლიშვილი და შ. ზურაშვილი) 70-80 ცენტნერის მიღებას ვარაუდობენ. ამ ბრიგადის მევენახეები ლიდა ჩოხელი, ფორე ბუშუულაშვილი, რაჟდენ ბიძინაშვილი, ვასილ ჩუკინი, დავით თევზაძე, ირინა სოლისკაია თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები არიან. ისინი ყოველწლიურად უხვ მოსავალს იღებენ. ახლაც ყურძნის კრეფაზე პირველობას არავის უთმობენ. დღეში საშუალოდ 1.000-1.200 კილოგრამ ყურძენს კრეფენ.

თუ ვენახის მოვლა-მოყვანის საქმეში ყველაზე ძმიმე და რთული სამუშაოებს მექანიზმები — ტრაქტორები, კულტივატორები, საწამლი აპარატები ასრულებენ. აქ — რთველის საქმეში წარმატების საჭეს ავტომძღოლები მართავენ. მათი შეჯიბრების პირობა მარტო იმას როდი ითვალისწინებს, რომ რაც შეიძლება მეტი ყურძენი გადაზიდონ ვენახიდან სახელმწიფო მარანში; ამასთან არ უნდა დაუშვან ყურძნის დაზიანება, დაბერვერინება. ამისათვის მათ აქვთ სპეციალური ძარები, ძარის საფარი ტილოები. თავიანთ საქმეს კეთილად და პატიოსნად ასრულებენ ავტომძღოლები: პავლე მირიანაშვილი, ნუგზარ ბაიდოშვილი, ნიკოლოზ ბაშლიევი და სხვები.

აღსანიშნავი და მოსაწონია ისიც, რომ ხირსის მეურნეობას, ღვინის ქარხანას კარგად მოუწყვიათ რთველის პერიოდში მუშა-მომსახურეთა დასვენება, საზოგადოებრივი კვება. ცხელი კერძებიდ და სხვა სურსათით დატვირთული ავტომანქანა ვენახის ყველა კუთხე-კუნჭულში უმასპინძლდება მკრეფველებს: ღვინის ქარხნის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი, ყოველდღიურად ტარდება კინო, ლექციები, საუბრები. ეს საჭიროა!...

მალე, სულ მალე მასობრივად გაჩაღდება რთველი კახეთში. დიდი თუ პატარა ჩადგება ამ საქმეში. მათი მიზანი ერთია — რაც შეიძლება სწრაფად, უდანაკარგოდ აიღონ ჯარს მომდგარი მოსავალი, ყველა მეურნეობამ, ბრიგადამ, მევენახემ პირნათლად შეასრულოს დაძმული პირობა, სამშობლოს მისცეს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ყურძენი, ხოლო მეღვინეებმა ყოველი ღონისძიებით, მთელი მონდომებით, პირნათლად დაიცვან ქართული ვაზის, ქართული ღვინის ღირსება.

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ კორ.

მკერავები პიროგას ასრულებენ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ვ. გეგეძე) კოლექტივმა განმსაზღვრელ წელს ხუთწლედის დარჩენილი დრო ხარისხისათვის ბრძოლის პერიოდად გამოაცხადა. მკერავები პიროგას პირწათლად ასრულებენ. ძირითადად განახლეს ასორტიმენტი, გაუუჯობესეს ხარისხი, მეორე კვარტალის დავალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულეს, გამმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოიპოვეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის გარდამავალი დროშა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მკერავებმა წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა ხარისხისათვის, რაზეც მიანიშნებს ნაწარმის კარგი რეალიზაცია. აქ პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის დავალება 104,9 პროცენტით გაანაღდეს და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 1 მილიონ 125 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს. საერთო პროდუქციის დავალებას 2 მილიონი მანეთით გაადაჭარბეს. აღსანიშნავია, რომ მკერავებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ტემპი. წასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება 24,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 19,3 პროცენტით.

საწარმოს კოლექტივი ბეჯითად შრომობს სექტემბერშიც. აქ თვის პირველი დეკადის დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს.

მკერავებს გადაწყვეტილი აქვთ არ შეანელონ ტემპი, წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, მომხმარებელს მიაწოდონ სეზონის შესაფერი მაღალხარისხოვანი ტანსაცმელი.

300 ათასი ქილა ჰონსერვი

ხაჩხერე. (ხაკ. კორ. ბ. ჭოკაძე). აღმოვაჩინეთ მუშაობს ხაჩხერის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ათი დღით ადრე შეასრულა საერთო პროდუქციის გამომშვების რვა თვის გეგმა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდა 5,8 პროცენტით. გამმართლად და რენტაბელურად მუშაობენ საამქროთა კოლექტივები, რომლებსაც დ. დეკანოიძე და ვ. ერგემლიძე უძღვებიან.

ხაჩხერელმა მეკონსერვეებმა რვა თვის გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდეს 300 ათასი პირობითი ქილა კონსერვი.

სიტყვას საქმე მოჰყვა

როსტოველ კომბაინერთა დიდი შრომითი გმირობა

წლევანდელი მკის დამდეგს მთელ ქვეყანას მოედო როსტოვის ოლქის ხაბჭოთა მეურნეობა „მოსკოვსკის“ იმ მოსავლის ასაღები რგოლის კოლექტივის დიდი შრომითი გმირობის ამბავი, რომელსაც კომბაინერი ნ. ვ. ბოჩკარიოვი მეთაურობს.

პარტიამ და მთავრობამ ჯეროვნად დააფასეს მექანიზატორთა ეს გმირობა, რგოლის კოლექტივს გულითადი მილოცვები გაუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, კომბაინერ ნ. ვ. ბოჩკარიოვს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, მთავრობის მაღალი სახელმწიფო ჯილდოები მიიღო რგოლის ყველა წევრმა.

ლეონიდ ილიას-ძის მამობრივი მისალმებითა და სამშობლოს მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულმა რგოლის კოლექტივმა გადაწყვიტა მოპოვებული რეკორდი ყოველდღიურად გადააქციოს და იკისრა ვალდებულება წელს მაღალხარისხოვნად მომკას მოსავალი და „კოლოსს“ მარკის ოთხი კომბაინით გალეწოს სულ ცოტა 100 ათასი ცენტნერი მარცვლეული, ანუ შეასრულოს თითქმის ოთხი სეზონის ნორმა.

სექტემბრის დამდეგს რგოლის კოლექტივმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელზე გაგზავნა პატაკი, რომელშიც მკის გმირები შესრულებული მოვალეობის გრძნობით წერენ:

„მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ ნაკისრი ვალდებულება შევასრულეთ — გავლეწეთ 100 ათას ცენტნერზე მეტი თავთავიანი მარცვლეული, სამარცვლე პარკოსანი კულტურები და ფეტვი, ანუ საშუალოდ 25 ათასი ცენტნერი თვითეულ კომბაინზე. მაგრამ ეს მიჯნაც რგოლისათვის ზღვარი არ იქნება.

განამტკიცებენ რა მიღწეულს, ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ბატკიცე სამირკელს უყრიან მომავალ მოსავალს, ჩაბღული არიან შეჯიბრებაში, რათა 1975 წელს, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, ჰექტარზე აიღონ 200 ფუთი მარცვლეული, ესწრაფვიან 1974-1975 წლებში დაამზადონ მეტი ხარისხოვანი საკვები და მაღალპროდუქტიულად გამოაზამთრონ საზოგადოებრივი პირუტყვი.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების მიზნით ჩვენ და ჩვენი ამხანაგები ვიშრომებთ კიდევ უფრო უკეთ, უფრო ნაყოფიერად.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ჯანმრთელობას, მრავალი წლის ნაყოფიერ შრომას ხაბჭოთა ხალხისა და ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

მოსავლის ასაღები რგოლის კოლექტივის დამამტკიცებლები: ნ. ბოჩკარიოვი, ი. აფონინოვი, ვ. კისელიოვი, ნ. ნოვიკოვი“.

რთველი ხირსაში

რეპორტაჟი

მინდვრებსა და პლანტაციებში

მარცვლეულის წარმოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ხიმინდს უჭირავს. წელს ამ კულტურის მოსავალი სამარცვლედ ასაღებია 121 ათას ჰექტარზე მეტი. უკვე დაიწყო მოსავლის აღება. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით რესპუბლიკაში სამარცვლე ხიმინდი აღებულია პირველი ასობით ჰექტარი.

სამარცვლე ხიმინდის აღებას შეუდგნენ სიღნაღის, წინანდლწყაროს, თელავის, საგარეჯოს, გურჯაანის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. სამარცვლე ხიმინდის აღება დასავლეთ საქართველოს რაიონებში ოქტომბერში გაჩაღდება.

ჩაქრი ტემპით მიმდინარეობს მზესუმზირას მოსავლის აღება. სულ ასაღებია 16.352 ჰექტარი, უკვე აღებულია 3.160 ჰექტარზე მეტი. სიღნაღის რაიონში მზესუმზირა 4.260 ჰექტარზე უთესიათ, აღებულია 1.362 ჰექტარი, წითელწყაროელებმა აიღეს 1.344 ჰექტარი, რაც გეგმის 16 პროცენტს შეადგენს.

მზესუმზირას აღებას შეუდგნენ საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის რაიონებში.

რესპუბლიკაში შეგვხვედრია 104.151 ათასი ზონარმტერი თამბაქო, ანუ გეგმის 61 პროცენტი. აჭარაში შეტრეს 16.526 ათასი ზონარმტერი, რაც გეგმის 68 პროცენტს შეადგენს, აფხაზეთში შეგვხვედრია 48.684 ათასი ზონარმტერი, გეგმა შესრულებულია 60 პროცენტით. ლაგოდეხელებს გეგმა შესრულებული აქვთ 67 პროცენტით, მარნეულელებს — 58 პროცენტით, ხოლო ბოლნისელებს — 57 პროცენტით.

მიმდინარეობს კარტოფილის მოსავლის აღება. 16.150 ჰექტარიდან კარტოფილი აღებულია 1.802 ჰექტარზე. წინ არიან ბოლნისელები, რომელებსაც კარტოფილი აღებული აქვთ 1.042 ჰექტარზე და კარგახანია სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს.

ამ კულტურის მოსავლის აღების ტემპი ძლიერდება ახალციხის, ადიგენის, ხაშურის, ბორჯომის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს, დმანისის რაიონებში, აჭარის ასს, რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ჯილდოები — მოსავლის აღების ოსტატებს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა 1973 წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის სსრ-კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 1974 წლის მონაწილედ დაამტკიცა და დაჯილდოვა:

სპპპიო დიპლომებით — დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ჟიტომირის, იმიერკარპატის, ყირიმის, ჩერნიგოვის, კოკჩეტავის, ანდიჯანის, ნამანგანის, სურხანდარიის, ტაშკენტის, ფერგანის ოლქები და ყარაკალპაკეთის ასსრ.

პირველი ხარისხის დიპლომებით — კრასნოდარის მხარე, მორდვეთის ასსრ. კოსტრომის, კუიბიშევის, მოსკოვის, როსტოვის, სარატოვის, ვოროშილოვგრადის, ზაპოროჟიის, ლვოვის, ხარკოვის, ხერსონის, ჩერკასის, ჩერნიგოვის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ალმა-ათის, ნარინის და ოშის ოლქები.

მეორე ხარისხის დიპლომებით — სტავროპოლის მხარე, ყაბარდო-მალყარეთის ასსრ, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ, ბრიანსკის, ვოლოგდის, კალუგის, პენზის. ტულის, ულიანოვსკის, ხაროვროვრადის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლტავის, როვნოს ოლქები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების 40 ათასამდე მოწინავე, რომლებმაც შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირობები, მიიღებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებსა და პრემიებს.

მათგან საუკეთესონი დაჯილდოვდნენ საპატიო დიპლომებითა და ავტომანქანა „მოსკვიჩებით“.

(საკდესი).

მენარალური ასაგებლების სესიაზე

იმის გამო, რომ 17 სექტემბერს იხსნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 29-ე სესია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა უკრაინის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. გ. შეველის მეთაურობით.

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭომ დამტკიცა ბელორუსიის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ე. გურინოვიჩის მეთაურობით.

(საკდესი).

პროფკავშირული ცხოვრება

ბ

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს, სამეცნიერო და კულტურის დაწესებულებებს სოფლისადმი დახმარების სახელოვანი ტრადიციები აქვთ. ისინი დიდ მატერიალურ, შრომითს და სამეცნიერო-კულტურულ დახმარებას უწევდნენ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს, აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, ბევრ სხვა დიდმნიშვნელოვან საქმეებთან ერთად, დავიწყებას მიეცა სოფლისადმი ქალაქის სამეფო დახმარების სახელოვანი ტრადიციები. სამე იქამდეც კი მივიდა, რომ სოფლისადმი სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებისა და ორგანიზაციების დახმარებამ ზოგან ღრეობების, საუფთა ჰაერზე გასეირნებისა და ექსკურსიების სასიათი მიიღო და ფაქტიურად სოფლის მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ წარიმართა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ნოემბრისა და შემდეგომი პლენუმების მიერ დასახულმა მეტად გაბედულმა და პრინციპულმა ღონისძიებებმა, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების დამკვიდრების კურსმა, უკომპრომისო ბრძოლამ ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად დიდი დადებითი გავლენა მოახდინა არა მარტო ეკონომიკის განვითარებაზე, არამედ, რაც მთავარია, ვამოიწვია მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის არნახული ზრდა.

მასების შემოქმედებითი ინიციატივის ერთ-ერთი ნათელი, მკაფიო გამოვლინებაა რესპუბლიკის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების პატრონატული ინიციატივა — აქტიური მონაწილეობა ძიიღონ სოფლად პარტიის ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებაში, დაეხმარონ საზოგადოებრივ მეურნეობებს ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობაში.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფკავშირული ორგანიზაციები მხურვალედ გამოეხმაურნენ თბილისის ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, ჟუთაიხის საავტომობილო და მეცრეგბარატიანი ტრაქტორების ქარხნების, აგრეთვე რესპუბლიკის პროფკავშირთა კულტურის სასახლის მუშა-მოსამსახურეების პატრონატულ თაოსნობას „ქალაქი — სოფელს“ და ფართოდ გაშალეს მუშაობა დევიზით: „მთელი ძალები სოფლის მეურნეობის აღმავლობას!“. ეს პატრონატული თაოსნობა მიმდინარე წლის 14 თებერვალს ერთობლივი დადგენილებით მოიწონეს საქართველოს პროფსაბჭომ, გაზეთ „პიონერის“ რედაქციამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა.

ჩვენმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებმა დიდი მუშაობა გაწიეს ამ პატრონატული თაოსნობის ფართოდ გავრცელებისათვის. ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ზოგიერთი მონაცემი. რესპუბლიკის 200-მდე სამეფო მეურნეობაში ქალაქის მშრომელთა დახმარებით გამოშუშავდება 40 ათასამდე კიდდე, გაეწევათ 309 ათასი მანეთის მატერიალური და 118 ათასი მანეთის ტექნიკური დახმარება, მომზადდება 300 ხარატი, ტრაქტორისტი, ხური, ელექტრომექანიკოსი, ზეინკალი, შესრულდება 133 ათასი ტონაკილომეტრის სატრანსპორტო სამუშაო, მოეწყობა ასობით კინოფარტი, სპექტაკლი და სხვა მასობრივი ღონისძიება.

სოფლისადმი დახმარების გაუმჯობესებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ დედაქალაქის სახელოვანი მუშათა კლასი, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ზრუნვა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ღვიძლი საქმე გახდა. ავიამშენებლებმა დიდი დახმარება გაუწიეს გარდაბნის რაიონის სართიჭალის მერძეველობა-მეპოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას. აქ მთლიანად რეკონსტრუირებულ იქნა რძის გადასამუშავებელი საამქრო. ხელახლა აღიჭურვა მექანიკური სახელოსნო, მეგობრობის ხელი გაუწოდეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებაში.

ერთ-ერთი ინიციატორის — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო ქარხნის ძალებით წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ჭედის კოლმეურნეობაში შენდება 500 ტონის ტევადობის მინერალური სასუქების შესანახი საწყობი, გაწყობილდება მეცხოველეობის ფერმების ელექტროფიკაცია და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარემონტო ბაზის მექანიზაცია.

ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სპეციალისტთა უშუალო მონაწილეობით აღმოსავლეთ საქართველოს 12 რაიონის კოლმეურნეობებში შეირჩევა ვენახების გასაშენებლად ვარგისი ნაკვეთები; განხორციელდება ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ბიეობანი ნიადაგების გაუმჯობესების აგრომელიორაციული ღონისძიებები, რაც მარცვლეული კულტურების მოსავლიანობას საშუალოდ ჰექტარზე 8-10 ცენტნერიდან 20-25 ცენტნერამდე გაზრდის, ახალოგიური მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

სოფლისათვის დახმარების საქმეში დადებითი გამოცდილება დაგროვეს რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის — ქ. ჭუთაისის პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. შექმნილია სოფლისადმი დახმარების სპეციალური შტაბი, რომელიც კონტროლს უწევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები და ორგანიზაციები პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით დახმარებას უწევენ სამტრედიის, მაიაკოვსკის, წულუკიძის, თერჯოლის და წყალტუბოს რაიონების 61 საზოგადოებრივ მეურნეობას.

სამრეწველო საწარმოები მეურნეობებს ეხმარებიან ფერმების მექანიზაციაში, სახელოსნოების აღჭურვაში, ტექნიკური კადრების მომზადებაში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში. ისინი დროზე და მაღალხარისხოვნად ასრულებენ სოფლის მშრომელთა დაკვეთებს. მეურნეობებს გეგმის ზევით აწვდიან პროდუქციას საავტომობილო, სატრაქტორო, მექანიკური ქარხნები, ნისქეოლკომბინატი და სხვა საწარმოები.

განსაკუთრებით მოწონებას და მხარდაჭერას იმსახურებს ავტოქარხნელთა ინიციატივა. ქარხნის სპეციალისტებმა შეისწავლეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების მდგომარეობა სოფელ მეურნეობებში. გამოირკვა, რომ მეურნეობები ხრული დატვირთვით ვერ იყენებდნენ ტექნიკას, რადგან საკმაო რაოდენობით არ ყოფილან მექანიზატორთა კვალიფიციური კადრები, არ გაარნდათ ტექნიკურად აღჭურვილი სახელოსნოები. ავტოქარხანაში ჩამოყალიბდა სპეციალური გამსვლელი სარემონტო ბრიგადები, რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური ზეინკლებით, ხარატებით, მექანიკოსებითა და ელექტრომექანიკოსებით. ისინი ხშირად გადიან მეურნეობებში და ადგილებზე, სადაც ოპერატიულად უწევენ კვალიფიციურ დახმარებას. საკურადღებოა, რომ ავტოქარხნელთა ეს სასარგებლო გამოცდილება ფართოდ ინერგება ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოებშიც.

თანამედროვე ეტაპზე პარტიის აგრარული პოლიტიკის „მიზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის განხორციელება. ამ ამოცანის შესრულება კი შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანის გარეშე, რასაც ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში ყაზინრის ათვისების 20 წლთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე ქ. აღმა-ათაში.

ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ქალაქის სამრეწველო საწარმოებს, სადაც ფართოდ არის დანერგილი ინდუსტრიული შრომა, დაგროვილია დიდი გამოცდილება წარმოების თანამედროვე ინდუსტრიულ ბაზაზე გადასვლისათვის. ამ გამოცდილების გაზიარება და ფართოდ დანერგვა დიდ დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ მეთოდებზე მოწყობის საქმეში. მათივე შეუძლიათ დაეხმარონ მეურნეობებს ტექნიკური კადრების მომზადებისა და არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

საშეფო დახმარება უნდა განხორციელდეს სოფლის მშრომელთა ამოცანების შესაბამისად. მან შარალოდ სფლის წაშველების საზე კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ წარმოადგენდეს ქალაქის მშრომელთა კონკრეტულ, საქმიან წვლილს ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. ამ საქმეში აუცილებელია მეტი ორგანიზებულობა, ეგეგმიანობა, სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა.

საყურადღებოა წინადადება გაძლიერდეს ქალაქისა და სოფლის პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანი კონტაქტები. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ მოვაწყოთ კულტურულ-აღმზრდელობითი და საყოფაცხოვრებო მუშაობის გამიდილების გაზიარება, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად და საქმიანად წარმართავენ საშეფო მუშაობას რესპუბლიკის ავტოტრანსპორტისა და საავტომობილო გზების, კულტურის, მედიცინის, განმანათლებლობის, მეტალურგიის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები (თავმჯდომარეები კაკაშვილი, გოგიაშვილი, გოგოძე, ჭუმბერიძე, კეთილაძე), ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო კომიტეტი (თავმჯდომარე გობიანიძე), პროფკავშირთა აფხაზეთის საოლქო, ჟუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოები (თავმჯდომარეები შარტავა, ოკუჭავა, ჯაბუა).

მაგრამ, როგორც ამას წინათ პროფსაბჭოს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის“ მიერ მოწყობილმა ერთობლივმა შემოწმებამ გვიჩვენა, სოფლისადმი დახმარების საქმეში ჯერ კიდევ აგდილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტებისა და ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი ფორმალიზმს. საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ნაკისრი საშეფო ვალდებულებები ხშირ შემთხვევაში ზერელე და მოჩვენებითია, მოკლებულია კონკრეტულობასა და საქმიან ხასიათს, მაგალითად, დიდი ჯიხაშის ნინოწმინდის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის მონაცემებით აღნიშნულ მეურნეობას დახმარებას უწევს ქ. სამტრედიის 11 საწარმო, მაგრამ ამ ერთ მათგანს არ უკისრია საშეფო ვალდებულებანი და, რაც მთავარია, დღემდე არავითარი დახმარება არ გაუწევია კოლმეურნეობისათვის; ანალოგიური მდგომარეობაა ამავე სოფლის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, რომელსაც დახმარებას უწევს ქ. სამტრედიის რვა საწარმო.

ტრესტ „შახტმშენის“ ტყვარჩელის სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დამმარებოდა გალის რაიონის სოფელ ოტობაიის კოლმეურნეობას, მაგრამ შახტმშენებლებს დღემდე თითიც არ გაუძრავიათ ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

პროფკავშირთა ზოგიერთი დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტი, საქალაქო და რაიონული საბჭო, პროფკავშირული ორგანიზაცია ისეთიათად ჩერნს ინტერესს საშეფო დახმარების ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისადმი, არ იცნობს აღგილებზე საქმის ფაქტიურ მდგომარეობას და ხურდება მარტოოდენ ზედაპირ ორგანიზაციებში. ზერელე, არარეალური, ხოლო ზოგჯერ არაფრისმთქმელი ინფორმაციის გაგზავნას.

საშეფო ვალდებულების აღებაში დიდი გულუხვობა გამოიჩინა საწარმოო გაერთიანება ტყიბულნახშირის ცენტრალურმა სახინო-კომფლეურმა კანტორამ (უფროსი გ. რიკაშაძე). იგი ციხიის კოლმეურნეობას დაპირდა 17 სახის დახმარებას, მაგრამ აქედან 13 დღემდე შეუსრულებელია.

ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სასახლეს ნაკისრი აქვს ვალდებულება კულტურული დახმარება აღმოუჩინოს სოჩხეთის, საწირისა და კურსების კოლმეურნეობებს. საშეფო ღონისძიებათა გეგმა თვალისწინებს მეჩაიეებთან შეხვედრებს, სპექტაკლების გამართვასა და საჯარო განხილვას, კონცერტების მოწყობას და სოფლის კლუბებისადმი მეთოდურ დახმარებას. შედგენილ ღონისძიებათა გეგმა უთუოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არც ერთი მათგანი არ განხორციელებულა. ვერ დაიკვეხნიან ამ მხრივ ტრესტ „საქშახტმშენის“ ქიათურის სამშენებლო სამმართველოს, ტრესტ მარგანმშენის, ბინმშენისა და ჭიათურმშენის სამმართველოების კოლექტივები.

უპასუხისმგებლოდ და ზერელედ მოეკიდნენ სოფლისადმი დახმარების ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელებას პროფკავშირთა გორის, თელავის, ზუგდიდისა და ზესტაფონის რაიონული საბჭოები, თელავისა და ზესტაფონის რაიპროფსაბჭოები, რომლებიც დაკმაყოფილდნენ საკითხის ფორმალურად განსაღვით და რაიონული ოპერატიული შტაბის შექმნით. ზუგდიდისა და ჯორის რაიონულ საბჭოებში ეს საქმე ფაქტიურად თვითდინებაზე მიუშვეს, რის გამოც სოფლისადმი დახმარებას ამ ეპიზოდური, შემთხვევითი ხასიათი აქვს, მაგრამ, რაც თვალში საცემია, ამ ეპიზოდურ დახმარებაშიც არ იჩრქნობა პროფკავშირული ორგანიზაციების ავანგარდული როლი.

სოფლისადმი დახმარების ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ის არის, რომ იგი მთლიანად არ მოიცავს ეკონომიურად სუსტ და ჩამორჩენილ მეურნეობებს, სამრეწველო ცენტრებთან სიშორის გამო ასპინძის, ადიგენის, თიანეთის, ბესტის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, შუახევის, ლენტეხის, ჯავის, ზნაურისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების მეურნეობებს, რომელთა უმრავლესობა ჩამორჩენილი და არარენტაბელურია, არც ერთი სამრეწველო საწარმო არ უწევს დახმარებას, მაშინ როცა ხშირ შემთხვევაში დახმარება უწევთ ეკონომიურად ძლიერ, მაღალრენტაბელურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომლებიც ნაკლებად ან სრულიად არ საჭიროებენ მას.

სოფლისადმი დახმარების საქმეს დროულად არ ეხმაურებიან აგრეთვე ზოგიერთი რაიონის საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები. მაგალითად, თბილისის მაუდ-კამფოლის კომბინატა „საბჭოთა საქართველოს“ დირექციამ და საფაბრიკო კომიტეტმა რამდენჯერმა მიმართა მცხეთის რაიაღსაკომს და სოფლის მეურნეობისა სამმართველოს საშეფო დახმარების შესახებ, მაგრამ შეფების თქმაგა — მიემგარებინათ მათთვის რომელიმე მეურნეობა — არ დაკმაყოფილეს.

სოფლის მშრომელები სამართლიან პრეტენზიებს უყენებენ რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებს. საჭიროა თვითეულ საწარმოში შემუშავდეს სოფლისადმი დახმარების კომპლექსური გეგმები.

ვერ გავიქცევით იმ ფაქტსაც, რომ სოფლისადმი დახმარების ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა ჯერ კიდევ სუსტად შუქდება საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე, ადგილობრივ რადიოგადაცემებში.

მოყვანილი მაგალითები იმაზე მეტყველებენ, რომ პროფკავშირთა მთელი რიგი საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტები ჯერ კიდევ მიზანსწრაფულად, კონკრეტულად ვერ ხელმძღვანელობენ სოფლისადმი საშეფო დახმარებას, ქმედითს კონტროლს არ აწესებენ ამ მიზნით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე.

საკომეურნეო სოფლისადმი დახმარება დიდი პატრიოტული საქმეა. პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან იგი ყოველდღიურ კონტროლს დაუქვემდებარონ და საერთო-სახალხო ზრუნვის საქმედ აქციონ.

ვ. ყიფიანი,

საქართველოს პროფსაბჭოს საწარმო-მასობრივი მუშაობისა და ხელფასის განყოფილების გამგე;

ლ. ჟუთათელაძე,

საქართველოს პროფსაბჭოს, გაზეთ „კომუნისტისა“ და ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ხოფლად საშეფო მუშაობის ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბის პასუხისმგებელი მდივანი.

მოსაწონი და მოსაგვარებელი

გაკვაძლიერეთ საშეფო დახმარება სოფლისადმი

საიუბილეო ნაკლული

25-ე მილიონი ტონა ფოლადი

ლენინგრადი დღე — 12 სექტემბერი ოქროს ასოებით შევა ქართველი მეტალურგების სახელოვან ისტორიაში. ღამის ცვლაში გააწყვეს მარტენის მეოთხე ღუმელი, რომლის მომსახურე პერსონალს წილად ხვდა სპეციალური მოვალეობა — გამოედნო საიუბილეო — 25-ე მილიონი ტონა რუსთაველი მარკის ფოლადი.

25 მილიონი ტონა ფოლადი! ეს არის 5 მილიონი ცალი ტრაქტორი, ეს არის დამზადებული მილები, რომლებიც ფრგლიდ 600-ჯერ შემოსწვდება დედამიწას.

იმისათვის, თუ ვინ, რომელი ღუმელი ან ბრიგადა მოიპოვებდა საიუბილეო 25-ე მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობის უფლებას, ქარხანაში წლის დასაწყისიდანვე გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება. მასში ჩაებნენ ცნობილი მეფოლადეების ი. ტურგენიძის, ბ. ჩემიას, ი. ქოქაიშვილის, ე. სარქისოვის, ლ. მეტრეველის, ნ. ბაგიროვის, დ. გოგოლაშვილის, გ. ბერეკაშვილის, შ. ბუბითიძის, შ. ელოვანის, მ. სანდერაშვილის, უ. ჩუბინიძის, ს. ნადირაშვილის, ი. ხარანაულის და სხვათა ბრიგადები. 8 თვის მიჩვენებლებით ყველა ამ ბრიგადამ წარმატებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, მაგრამ, როგორც იტყვიან, მჯობნის მჯობნს ამა რა გამოლევს...

№ მე-4 ღუმელი... რიგით საიუბილეო ნადნობის გამოდნობა ილო ხარანაულის ბრიგადას უწევს, მაგრამ მასთან ერთად ვახტანგ დადგენ მ. სპანდერაშვილის, უ. ჩუბინიძის და ს. ნადირაშვილის ბრიგადებიც.

25-ე მილიონი ტონა ქართული ფოლადის გამოდნობასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოვიგონებთ ქართველ მეტალურგთა ცხოვრებისა ზოგიერთ საინტერესო დეტალს, მოვლენას. პირველი და მთავარი თარიღი არის ხროოკ და უკაცრიელ ადგილას მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყების თარიღი — 1944 წელი, როცა ჯერ კიდევ დიდი საომარი ოფი მძვინვარება. სწორედ მაშინ გაიგზავნენ ქართველი ჭაბუკები რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში სასწავლებლად. 1950 წლის 27 აპრილი. ეს თარიღი ცნობილია პირველი ქართული ფოლადის დაბადების დღედ, ეს თარიღი ითვლება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საქმესლოტაციოდ დადაცემის დღეთაც.

ვინ იყვნენ პირველი ქართული ფოლადის მიმდენი? შალვა ჯუხალეიშვილი და ვაჟა გიგიბერია, ამირან ფანცულაია და გიორგი სიგუა. მაშინდელ ახალბედა მეტალურგებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ რუსეთიდან და უკრაინიდან ჩამოსული მასწავლებლები ევგენი ვორონკოვი, ივანე სამკოვი, სემონ ჩერეპენკოვი და ივანე პოვნიკოვი.

მალე მწყობრში ჩადგა მეორე, მესამე, მეოთხე ღუმელები, დღეს კი რვა ღუმელია, და განა მარტო ღუმელები? ფოლადის ვამოშვების კომპლექსში შედის ტექნიკურად კარგად აღჭურვილი საკაზმე ეზოები, საბოყვე და ზოდსახდელი განყოფილებები, ჩამტვირთავი და სიჩამომსხმელო დანადგარები.

რამდენიმეჯერ მოხდა მარტენის ღუმელების რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც 120 ტონის ნაცვლად დღეს თვითეული ღუმელის ცვლის წარმადობა 200 ტონამდე გაიზარდა. შესაბამისად შეიცვალა და გაფართოვდა ამწეებზე მოქმედი მაგნატების სიმძლავრე, ჯართის როფების მოცულობა, საკაზმე.

17 წელია მარტენის საამქროში, შრომობს და მოღვაწეობს მეტალურგი ინჟინერი გურამ ქაშაკაშვილი. მან განვლო გზა ცვლის ოსტატიდან საამქროს უფროსობამდე. ნიჭიერი ხელმძღვანელის ხელისშეწყობით და ინიციატივით საამქროში მრავალი ტექნიკური სიახლე იქნა დანერგილი და თუ ახლა დნობის საშუალო ხანგრძლივობა დაწოდებინ 4 საათით არის შემცირებული, ხოლო საათობრივი წარმადობა 7 ტონიდან 23 ტონამდე აიყვანეს, ამაში განსაკუთრებული წვლილი სწორედ საამქროს თავაცს მიუძღვის.

— საამქროს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ზრდას, — ამბობს საამქროს უფროსი **გურამ ქაშაკაშვილი**, — განსაბრობებდა წლების მანძილზე წარმოებაში მეცნიერულად გაეხრებული და დასაბუთებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების სისტემატური დანერგვა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირში პირველად ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის რადიალური ტიპის დანადგარის ამოქმედება, ხოლო ამ დანადგარის რეკონსტრუქციის შემდეგ — მსოფლიოში პირველი მიღწევა — სამლე და ლეგირებული ფოლადის უწყვეტი რადიალური ჩამოსხმა. მარტენ ამ სიახლემ შარშან ქარხანას 6 ათას ტონაზე მეტი ლითონი დაუზოგა და 480 ათასი მანეთი ეკონომია მისცა.

შემარტენეები ერთი წუთითაც არ ანებებენ ძიებას. ამჟამად აქ საწარმოო გამოცდას ვადის ლითონის ჩამოსხმის ოდენობის განმსაზღვრელი ამარტი, რომელიც ინოუშავის ყოველგვარი რადიაქტიული ელემენტების გამოუყენებლად.

ცხადია, ტექნიკური პროგრესის დანერგვის ამ რთულ უბანს მარტენ პროტოკოლები ვერ გაუძღვებოდნენ, რომ მათ მჭიდრო კავშირი არ ჰქონდეთ მეცნიერებასთან. საამქროს ხშირი სტუმრები არიან ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები, რომლებიც ადგილზე საწარმოს ხელისშეწყობითა და მხარდაჭერით წყვეტენ სამამულო მეტალურგიის განვითარების ამთუ ის რთულ პრობლემებს.

ტექნიკური სიახლის დანერგვას სეფერობი განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობენ წარმოების ნოვატორები ა. ზედელაშვილი, თ. ჯალაღანია, ი. ზალეკაია, ა. ქაჯაია, გ. ჩემია, ვ. ილეილი, ვ. გასიშვილი და სხვები. საამქროს საერთო საქმიანობაში, კერძოდ 25-ე მილიონი ტონა საიუბილეო ფოლადის გამოდნობისათვის მზადებაში, თავი გამოიჩინეს უბნის უფროსებმა კ. ვაჭარაძემ, თ. ტაბიძემ, ნ. კილაძემ, ზ. გამყრელიძემ, თ. ყოტრიკაძემ, ნ. დიკინმა, ვ. ზურაბიშვილმა და სხვებმა.

წელს რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ორჯერ გამიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირველ და მეორე კვარტალების მაჩვენებლების მიხედვით პირველი ადგილი და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა. მიმდინარე წლის 8 თვეში 26 ათასი ტონა ფოლადი გამოუშვეს ვადამდე გადამეტებით, მაშინ, როცა წლიური ვალდებულება 15 ათასი ტონას ითვალისწინებდა. ამატომაც არის, რომ მარტენის საამქროს კოლექტივმაც გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული ქარხნების მარტენის საამქროებს შორის ვაჩაღენილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და სპეციალურ ადგილიც დაისაკუთრა.

ქართველ მეფოლადეებს შრომასთან ერთად დასვენებისა და სწავლის კარგი პირობებიც აქვთ. ბევრი მემარტენე სწავლობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტზე, მეტალურგიულ ტექნიკუმში, მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში. შრომის შედეგი კარგია დასვენება და ი. ფოლადეები მეშურნეობინ კულტურისა და დასვენების პარკებში, კულტურის სასახლისაკენ, თეატრისაკენ, კინოთეატრებისაკენ, ხელოვნურად გაშენებული ტბისაკენ, ეწყობა ექსკურსიები.

გუგუნებს № 4 ღუმელი... 25-ე მილიონი ტონა ფოლადის საიუბილეო ვახტენ დგანან ი. ხარანაულის, მ. სპანდერაშვილის, უ. ჩუბინიძის და ს. ნადირაშვილის ბრიგადები. აქვე არიან ვეტერანი მეფოლადეები, ვინც გამოადნეს პირველი ქართული ფოლადი, ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივი, მოწვეული სტუმრები.

დღეს პირველ საათზე გაიცემა განკარგულება:

— გაუშვით!

და ვეებერთელა ციცხვებისაკენ დაიძვრება ფოლადის ოქროსფერი ნაიაკარი, რომელიც შეავსებს საიუბილეო ტონებს, 25-ე მილიონს!

ბარაქალა თქვენს მარჯვენას, საბჭოთა ქართველო მემარტენეებო!

ზ. მერკვილაძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ჩვენი ინტერვიუ მარტენის საამქროს უფროსთან გურამ ქაშაკაშვილთან.

□

ხარისხის ნიშნით

თელავი (საკ. კორ. ა. თვალიაშვილი). ნაფარეულის ღვინის ქარხანა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში და ცნობილია თავისი მაღალხარისხოვანი ღვინოებით. ამ ქარხნის მიერ გამოშვებულმა სამარკო სასმელებმა საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებში არაერთხელ გამარჯვეს და მედლები დიამსახურეს.

განსაკუთრებით ცნობილია ქარხნის მიერ გამოშვებული სამარკო ღვინო „ნაფარეული“, რომელმაც შარშან დაიმსახურა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ამ დღეებში კი ქარხნის (დირექტორი გ. პაატაშვილი) კოლექტივმა ახალი სასიხარულო ცნობა მიიღო — სამარკო ღვინომ „ბახტრიონმაც“ მოიპოვა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

ᲖᲔᲘᲜᲐᲑ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ საუალო სკოლის დამთავრებისთანავე **სწავლა** დაიწყო თბილისის **№ 41** პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. უკვე მეშვიდე წელია ქალიშვილი მუშაობს საწარმოო გაერთიანება „თბილისკონდიტერში“. შრომისმოყვარე, ინიციატივიანი მუშაკი მალე ჩაუდგა სათავეში ოკოლადის საამქროს ერთ-ერთ ბრიგადას.

გაერთიანების წარმატებებში დიდი ღვაწლი აქვს ამ კოლექტივის შრომასაც.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ოკოლადის საამქროს მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი ზეინაბ მაისურაძე.

Ფ. ᲙᲠᲘᲚᲘᲩᲘᲡ ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

გულისხმიერად მოვეპყრათ დეპუტატთა მოქალაქეთა მოთხოვნებს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიებზე დეპუტატების მიერ შეტანილი შეკითხვების განხილვის პრაქტიკის საკითხი.

პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოების მთელი რიგი აღმასრულებელი კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ დეპუტატების მიერ კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელებას — სესიებზე მათი შეკითხვებისა და ამ შეკითხვების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხილვას.

ფოთის საქალაქო საბჭოს სესიაზე დეპუტატებმა შეიტანეს შეკითხვები, თუ როგორ ხორციელდება ღონისძიებანი ყოფილი აგრარის ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე ქალაქში სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის. ახალციხის რაიონული საბჭოს სესიებზე დეპუტატებმა შეიტანეს შეკითხვები, რომლებიც ეხება ქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას, ხიდისა და სარეკონსტრუქციო საკერეკვეზო ავტოგზის დაწყების ვადებს; ამბროლაურის რაიონული საბჭოს სესიაზე — სპორტულ მუშაობას, ლანჩხუთის რაიონსაბჭოს სესიაზე — მიწათსარგებლობის კანონმდებლობის კანონიერებისა და სოფელ სუფსაში საავტორო ცენტრისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობას.

შედარებით უკეთ არის სესიებზე დეპუტატების შეკითხვების განხილვისა და მათ შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმე. ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებში.

ამასთანავე აღინიშნა, რომ ადგილობრივი საბჭოების სესიებზე შეკითხვების დასმასა და მათს განხილვაში ხერხიოზული ნაკლოვანებანია. ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი აღმასკომის ხელმძღვანელები ვერ ერკვევიან სესიებზე შეტანილი შეკითხვების არსსა და მათი განხილვის წესში, რის შედეგადაც ვერ ხედავენ განსხვავებას ამ შეკითხვებსა და სესიის დღის წესრიგის განხილვის დროს დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვებს შორის (ჩოხატაურის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბარდაბნის, კასპის, თეთრწყაროსა და ოკაგერის რაიონების სასოფლო საბჭოები). არის შემთხვევები, როცა დეპუტატთა შეკითხვების ამსა სესიებზე არ იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს (მახარაძის რაიონული), წესის (ამბროლაურის რაიონი), კოდის (კასპის რაიონი) და სხვა სასოფლო საბჭოები.

ჭიათურის საქალაქო, მახარაძის რაიონულმა და ზოგიერთმა სხვა საბჭოებმა მიიღეს გადაწყვეტილებანი, რომელთა მისედვით ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ვალდებულნი არიან პასუხი გასცენ დეპუტატთა შეკითხვებზე, მაგრამ ამ პასუხების მინაარსს არ აცნობენ დანარჩენ დეპუტ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲕᲘᲗᲝᲥᲠᲔᲑᲐ ᲙᲕᲘᲠᲐᲠᲝᲡᲨᲘ

ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲐ

ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐ, 11 სექტემბერი. (საქდესი). კვიპროსში ეროვნული გვარდიისა და თურქეთის ჯარების შეხვედრის ხაზის გასწვრივ კვლავ ხდება შეტაკებანი და სროლა. როგორც აღინიშნა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა, უკანასკნელი ორი დღის მანძილზე მათი ინტერსიფობა რამდენადმე შემცირდა. სროლა, კერძოდ, იყო კონდულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — ლეფკაში რაიონში, ნიკოზიის სამხრეთ-დასავლეთით და სოფელ პიროის მიდამოებში, რომელიც ლარნაკის ნავსადგურთან დედაქალაქის შემომავალ გზაზე მდებარეობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობამ მოუწოდა მხარეებს შეწყვიტონ ცეცხლი და აღარ დაარღვიონ ეროვნულ გვარდიასა და თურქების ჯარებს შორის დადგენილი გამყოფი ხაზი.

ᲞᲠᲝᲠᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝᲡ, 11 სექტემბერი. (საქდესი). ისრაელის მხედრიონი კვლავ აგრძელებს დაძაბულობას არაბეთის ქვეყნებთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზებზე უშუალოდ ეარეთ წოდებული „ბუფერული ზონების“ მახლობლად, რომლებიც შეიქმნა არაბეთის სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის ომების „დაშორიშორების შესახებ შეთანხმებათა“ შესაბამისად.

ამ მიღებული ცნობებით, გოლანის მაღლობებზე — სირიის ტერიტორიის ოკუპირებულ ნაწილში—მიმდინარეობს სამხედრო მანევრები. სანის საგენტო აღნიშნავს, რომ მანევრებში მონაწილეობდნენ იგივე ქვეითი და ატანკო ნაწილები, რომლებიც სირია-ისრაელის ფრონტზე მოქმედებდნენ 1973 წლის ოქტომბრის ომის დროს. ისრაელის არმიის სარდლობის ოფიციალურ ცნობაში მანევრები დახასიათებულია როგორც „უფიდესი ოქტომბრის ომის შემდეგ“, ისრაელის რადიომ თავის მხრივ გამოაცხადა, რომ ამ მანევრების მიზანია მოამზადოს ჯარები „მთის რაიონების ძნელად გასავლელ ადგილებში საბრძოლველად“.

ტელ-ავივის ახალი პროვოკაციული ქმედება, ადგილობრივ მიმოხილველთა აზრით, ისრაელის არსებული მზადების მორიგი რგოლია. მან ხომ ამას წინათ მოაწყო ანალოგიური დიდი მანევრები სინაის მთაზე. სანის საგენტო ხაზს უსვამს, კერძოდ, რომ მანევრების დაწყება სპეციალურად დაუკავშრეს ისრაელის პრემიერ-მინისტრის ი. რაბინის ოფიციალურ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ᲛᲝᲖᲐᲛᲑᲘᲙᲘ: ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

○ Ხ. ᲛᲐᲥᲘᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ, 10 სექტემბერი. (საქდესი), პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება მოზამბიკის ამბებთან დაკავშირებით. პორტუგალიის კომუნისტური პარტია მიესალმება მოზამბიკში ომის დამთავრებას და აფრიკის ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მინიჭებას მომავალ გამოცხადებას 1975 წლის 25 ივნისს; იგი აცხადებს, რომ მხარს უჭერს პორტუგალიის მთავრობისა და მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას.

პროვოკაციული ამბოხება, რომელიც ლორენსუ-მარკიშში მოაწყო ფაშისტთა და კოლონიალისტთა ჯგუფმა როგორც შინაური ისე გარეშე რეაქციული წრეების აშკარა წაქეზებითა და მხარდაჭერით, კომპარტიის აზრით, 25 აპრილს დამხობილი რეჟიმის მომხრეთა თავგანწირული ცდაა განაგრძონ სალაზარისა და კაეტანუს კოლონიური პოლიტიკა, შეადგინონ რასისტული მთავრობა, შექმნან ბანტუსტანები, რომლებიც ხელს შეუშლიან ზამბიის დედაქალაქ ლუსაკაში ხელმოწერილი შეთანხმების განხორციელებას.

ლორენსუ-მარკიშის ახლანდელი ამბები, ნათქვამია განცხადებაში, სერიოზული გაფრთხილებაა, რომ შესაძლოა საფრთხე შეექმნას არა მარტო დეკოლონიზაციის განხორციელებას, არამედ აარეთვე დემოკრატიზაციის პროცესს თვით პორტუგალიაში.

ახლანდელ პირობებში, პორტუგალიელ კომუნისტთა აზრით, საჭიროა სახალხო მასების მობილიზება, რათა მოიგერიონ რეაქციის შეტევა, გააძლიერონ მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანობა, განამტკიცონ სახალხო და დემოკრატიული მოძრაობის კავშირი „შეიარაღებული ძალების მოძრაობასთან“.

ᲓᲐᲠ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲐᲛᲘ, 10 სექტემბერი. (საქდესი), მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის (ფრელიმო) თავმჯდომარემ სამორა მაშელმა, რომელიც ლუსაკიდან დაბრუნდა პორტუგალიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ, აქ პრეს-კონფერენციაზე თქვა, რომ ამ კვირაში გამოაცხადებენ მოზამბიკის დროებითი მთავრობის შემადგენლობა. მან აღნიშნა,, რომ მთავრობაში პოსტების ორ მესამედს, მათ შორის პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებენ ფრელიმოს წარმომადგენლები.

სამორა მაშელმა „მაიოფილება გამოთქვა მოლაპარაკების შედეგების გამო და აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლუსაკაში ხელმოწერილ შეთანხმებებს 1975 წლის 25 ივნისს მოზამბიკისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებისა და ფრელიმოსა და პორტუგალიის შეიარაღებულ ძალებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც უკვე ძალაში შევიდა მოზამბიკის მთელ ტერიტორიაზე.

ფრელიმოს თავმჯდომარემ მკაცრად დაგმო თეთრკანიანი ექსტრემისტების ჯგუფის რეაქციული მოქმედებანი, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ ლუსაკის შეთანხმებანი და ხელი შეუშალონ ქვეყნის დეკოლონიზაციის დაწყებულ პროცესს. მან გამოთქვა რწმენა, რომ მოზამბიკის მთავარ ქალაქ ლორენსუ-მარკიშში მოწყობილ მიმარჯვენეთა ამბოხებას მალე ბოლოს მოუღებენ. სამორა მაშელმა თქვა, რომ ამ მიზნით ფრელიმოს ხელმძღვანელობას მუდმივი კონტაქტი აქვს პორტუგალიის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან.

Г. ᲛᲐᲕᲠᲝᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲝᲜᲝ, 11 სექტემბერი. (საქდესი). აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. მავროსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბერძნეთი არ აპირებს ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში დაბრუნებას. ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან საბერძნეთის გასვლა, განაცხადა მან, „სამოლოო ხასიათისაა“. მან თქვა, რომ ეს ნაბიჯი „არ ნიშნავს საბერძნეთის საგარეო პოლიტიკის ახალ ორიენტაციას“, და დასძინა, რომ საბერძნეთი აპირებს ითანამშრომლოს „ევროპის გაერთიანებასთან“.

გ. მავროსმა შემდეგ განაცხადა, რომ ეთანხმება საბჭოთა წინადადებას, რომელიც თვალსაწინაზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში კვიპროსის პრობლემის განხილვის მიზნით.

საგარეო საქმეთა მინისტრი შეეხო კვიპროსის თაობაზე ულენევის მოლაპარაკებას, რომელიც, როგორც ცნობილია, ნატოს გარკვეულმა ქვეყნებმა მოაწყვეს ამ სამხედრო ბლოკის ინტერესებისათვის, და აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკება „მთლიანად ჩაიშალა“.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოთქვა აზრი კვიპროსის ორ სახელმწიფოდ გაყოფის წინააღმდეგ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ერთ-ერთი მოედანი ბარსელონას ნავსადგურის რაიონში.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ფოტო.

ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 11 სექტემბერი. (საქდესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ განაახლა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების სხვადასხვა ახპექტის განხილვა.

კომისიის სხდომის გასწინასწარ, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ჯ. სპარკმენმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ განხილვას.

უკანასკნელი წლები აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელებით, აღნიშნა, კონფიდენციალურ წინაშე გამოსვლისას, ყოფილმა სენატორმა და სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ყოფილმა წევრმა ფ. მაკარტიმ. მან აღნიშნა, ამ პროცესის დიდ მნიშვნელობაზე ატომური ომის საფრთხის შემცირებისათვის.

მ. მაკარტიმ მხარი დაუჭირა სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობის გაფართოებას სხვადასხვა დარგში და იმას, რომ საბჭოთა კავშირს მისცენ კრედიტები და მოსპონ დისკრიმინაციული შეზღუდვები სსრ კავშირთან ვაჭრობაში. ეს, თქვა მან, ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, და შეერთებულმა შტატებმა ხელიდან არ უნდა გაუშვას ასეთი შესაძლებლობა.

ფ. მაკარტიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის გაფართოება პოტენციურად ძალზე სასარგებლოა ორი ქვეყნის ხალხებისათვის.

მაკარტიმ გამოთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მიღწეული იქნება ახალი შეთანხმებანი. ამასთან მან გააკრიტიკა პენტაგონის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკის სამხედრო პოტენციალის გადიდებას.

ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲗᲐ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 სექტემბერი. (საქდესი). ებრაული ეროვნების ასობით ყოფილ საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც ისრაელში ან დასავლეთ ევროპას ერთ-ერთ ქვეყანაში დასახლების იმედი ჰქონდათ საბჭოთა კავშირიდან წასვლის შემდეგ, იძულებული არიან იხეტიალონ კოთი ქვეყნიდან მეორეში, რადგან არ შეუძლიათ მიიღონ მუდმივი ცხოვრების ნებართვა.

ბელგიის რადიომ გამოაცხადა, რომ დაახლოებით 500 ასეთი ემიგრანტი ამჟამად ბელგიაში ჩავიდა მას შემდეგ, რაც წარუმატებლად დამთავრდა მათი ცდა მუდმივი ცხოვრების ნებართვა მიეღოთ საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲐ

ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲐ, 10 სექტემბერი. (საქდესი). როგორც ველინგტონიდან იტყობინებიან, დღეს ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა უილიამ როულინგმა გამოაცხადა ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელშიც დაიტოვა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. პრემიერ-მინისტრის მოადგილედ და ფინანსთა მინისტრად დანიშნა რობერტ ტაბარლი, თავდაცვის მინისტრად — უილიამ ფრეიზერი.

11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ

ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

● ᲑᲠᲜᲝ, (საქდესი). ბრნოს საბაზრო ქალაქის შესასვლელთან ფრიალდა 30 ქვეყნის ალმები, რომლებიც იუწყებიან, რომ აქ გაიხსნა მე-16 საერთაშორისო მანქანათმშენებლობის ბაზრობა. ჩეხოსლოვაკიის საწარმოებს აქ გამოფენილი აქვთ 5 ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებსაც მთელი საგამფენო ფართობის დაახლოებით 40 პროცენტი უკავიათ. ბრნოში ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირიც. საბჭოთა მანქანათმშენებლობის ბევრმა ნაწარმმა — დამუშავებელმა ჩარხებმა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკამ, ელმასის ძარაღებმა და ელექტროძრავებმა — საზღვარგარეთის ფირმების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲙᲣᲠᲔᲡ

● ᲓᲐᲠ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲐᲛᲘ, 11 სექტემბერი. (საქდესი). ტანზანიის პოლიციამ დარ-ეს-სალამის გარეუბანში შეიპყრო ჯაბუში, რომელიც სპილოს ძვლის კონტრაბანდას ეწეოდა. სახლში, სადაც კონტრაბანდისტები თავიანთ საქონელს მალავდნენ, აღმოაჩინეს სამ ტონამდე სპილოს ეშვი, დიდძალი ლეოპარდის ტყავები და მარტორქის რქები.

ᲞᲠᲝᲒᲝᲠᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

● ᲞᲐᲜᲛᲝᲜ. (საქდესი). როგორც განთავისუფლების პრესის საგენტო იუწყება, 4-6 სექტემბერს საიგონის ადმინისტრაციის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები პროგოკაციულად დაფრინავდნენ ლოკნინის პროვინციული ცენტრის, საჰაეროო სივრცეში, რაიონში, რომელსაც კონტროლს უწევს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა.

5 სექტემბერს დილით საიგონის სამხედრო თვითმფრინავებმა რამდენჯერმე გადაუფრინეს ლოკნინის აეროდრომს, რითაც უხეშად დაარღვიეს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის საჰაერო სივრცე.

5-8 სექტემბერს საიგონის ადმინისტრაციის სამხედრო-საჰაერო ძალების ბომბდამშენებმა ბომბი დაუშინეს ბინფიტის პროვინციის სოფელ სეტიენგს.

ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲚᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

● ᲠᲝᲛᲘ, (საქდესი). ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოს — სან-მარინოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებზე წარმატება მოიპოვეს მემარცხენე ძალებმა.

გაიზარდა იმ ხმების რიცხვი, რომლებიც მიიღეს სან-მარინოს კომუნისტური პარტიის კანდიდატებმა. ამ პარტიას ახლა დიდ გენერალურ საბჭოში (პარლამენტში) სამოციდან თხუთმეტი ადგილი აქვს. პარლამენტის წინა შემადგენლობაში 14 დეპუტატი კომუნისტი იყო.

ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

● ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. (საქდესი). ბრაიტონში გაიხსნა ლიბერალური პარტიის ყოველწლიური კონფერენცია, კონფერენციის დღის წესრიგის ძირითადი საკითხია ლიბერალური პარტიის მანიფესტის მიღება და მომავალ ვადამდელ არჩევნებში პარტიის ტაქტიკის შემუშავება.

ამ ბოლო დღეებში თავი იჩინა გარკვეულმა უთანხმოებებმა პარტიაში, კერძოდ, კონსერვატორებთან კოალიციის შესაძლო შექმნის საკითხზე, თუ ვერც ერთი წამყვანი პოლიტიკური პარტია ვერ მიიღებს აბსოლუტურ უმრავლესობას თემთა პალატაში.

პარტიის ლიდერმა ჯ. ტორამ გასაგებად თქვა, რომ არ გამორიცხავს კოალიციური მთავრობის შექმნის შესაძლებლობას.

ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔ

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ

ᲠᲝᲛᲘ, 11 სექტემბერი. (საქდესი). ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა დიდი თანამდებობის თანამშრომელმა ვიქტორ მარკეტამ იტალიის ეურნალის „ეროპოესათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მთელი ძალ-ღონე მოახმარა სალვადორ ალიენდეს მთავრობის დამხობას“. მარკეტამ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო სამსახურის ყოფილმა მუშაკმა ჯონ მარქსმა გამოაქვეყნეს წიგნი „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და დაზვერვის კულტი“, რომელშიც გამოაშკარავებულია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობის ის ფენომენი.

„მრავალი სამწუხარო მოვლენა, რომელიც მსოფლიოში მოხდა — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმეა. ეს ყველამ იცის, — თქვა თავის მხრივ ჯონ მარქსმა. — გვატემალიდან კორინოსის ყურამდე, ჩილედან ბაიამდე — ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ თავისი მკვეთრი კვალი დატოვა“. ჯონ მარქსმა ეურნალის კორესპონდენტს უამბო, რომ იგი ამერიკის საიდუმლო სამსახურების საქმიანობის ნამდვილ ხასიათს მიხვდა, როცა იგი გაგზავნეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვიეტნამის აგრესიის დრო, სადაც თვალყურს ადევნებდა „ბადაღიდენული „დაწმენდების პროგრამის“ განხორციელებას.

მარკეტმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ეშურებოდა და აშინებდა დაზვერვის ცენტრალური სამმართველო მას, როცა მან გადადგომის შემდეგ დაწერა დეტექტიური რომანი, რომელშიც ფარდა ახადა ამერიკის დაზვერვის საქმიანობის საიდუმლოებას.

მეგობრები იკარგებიან, ოჯახი იზოლაციაში აღმოჩნდება, სამუშაოს თუ ეძებ — სამუშაო არ არის, თქვა მარკეტმა. ჩემი ცოლი დაითხოვეს სამსახურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. მე ათობით ანონიმური წერილი და სხვა ბარათი მომდიოდა, რომელთა „მკარა მიზანი იყო ჩემი დაშინება.

სწორედ მარკეტის წინააღმდეგ გაბაღებულმა ამ კამპანიამ აიძულა იგი მოეკრიბა ძალ-ღონე და დ. მარქსთან ერთად გამოაქვეყნა წიგნი, რომელიც, ეურნალ „ეროპეის“ თქმით, „დიდი მნიშვნელობის მოვლენა“ გახდა.

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 სექტემბერი. (საქდესი). სამხრეთ ვიეტნამში ფართოვდება ოპოზიცია თხიეუს ძირგამომპალი ანტიხალხური რეჟიმისადმი,

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, საიგონში შეიქმნა გამომიქიმილთა, ეკურნალისტთა, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა კომიტეტი, რომელმაც მტკიცე პროტესტი განაცხადა რეჟიმის კურსის — პრესის, მეგაზეთეების, მწერლებისა და კულტურის მოღვაწეების დათრგუნვისა და დაშინების კურსის წინააღმდეგ.

ამას წინათ, მაგალითად, დახურა ყოველდღიური გაზეთი „ხოაბინი“. რედაქცია იძულებული იყო შეეწყვიტა გაზეთის გამოშვება იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არაერთგზის კონფისკაცია უყარა „ხოაბინის“ ნომრებს, რომელიც მოითხოვდა ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ, რომელიც ძირს უთხრის თხიეუს რეჟიმს, საიგონის მიერ ვიეტნამის საკითხზე პარიზის შეთანხმების უთუოდ შესრულებას.

ასეთივე ბედი მოელის სამხრეთ ვიეტნამის ფრიად გავლენიან გაზეთ „ტინ-ლეანსაც“, თუმცა მას, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ თქმით, ვერ დაბრალებენ ქვეყნის პროკომუნისტული ძალებისადმი სიმპათიას.

დიდი თანამდებობის პირთა ამაუდადებლობამ მამხილებელი მასალების დაბეჭდვისათვის დაპატიმრეს ყოველდღიურ გაზეთ „სონგ თხანის“ გამომცემელი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲥᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘ

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ჭორები ურჩხულის შესახებ, „რომელიც თითქოს შოტლანდიის ტბა ლოჩ-ნესში ბინადრობს, ყოველთვის ერთსადამავე დროს ვრცელდება— ტურისტული სეზონის დაწყების წინ. და ყოველთვის მოინახება ხოლმე თვითმხილველი, რომელმაც თვითონ მონსტრი თუ არა, მისი ჩრდილი მაინც ნახა ტბის ზედაპირზე. მითქმა-მოთქმა გრძელდება შემოდგომის მიწურულამდე, როცა ტურისტთა ნაკადი თხელდება, არაერთხელ დაუწერიათ, ჭორებს თვითონ ტურისტული ფირმები ავრცელებენო.

ბრაიან და ბარბარე მურებმა იორკშირიდან განაცხადეს, რომ ისინი სპეციალურად უთვალთვალებენ ურჩხულის გამორჩენას და საბოლოოდ ნახავენ მას, ან კიდევ დაამტკიცებენ მის არარსებობას.

ცოტა-ქმარი ორ წელიწადს აგროვებდა ფულს „სპეციალური ტელესკოპის შესაძენად, რომელსაც „ბეკემოტი“ დაარქვეს. იგი ლოჩ-ნესის ნაპირზე დადგეს. დილიდან დაღამებამდე მურები „გულდაგულ აკვირდებიან ტბის ზედაპირის თვითეულ სანტიმეტრს. თუმცა ვინ იცის, შეიძლება ეს კიდევ ერთი სარეკლამო ატრაქციონია. ტურისტული სეზონი ხომ ჯერ არ დამთავრებულა...

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ „ᲯᲘᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲘ“

ᲨᲘᲡᲢ-ᲛᲔᲡᲘ, ლონდონის გასართობი დაწესებულებების რაიონში, დაიწყო ოპერაცია „ჯიბის ქურდი“, რაც გამოწვეულია, როგორც ოფიციალმა განაცხადა, „ევროპის დედაქალაქებში მოსეტალე ჯიბის ქურდების საერთაშორისო ბანდების გაჩეხვიერებით“. მითან ბრძოლა, აღიარებენ კრიმინალისტები, წელიათწლეულით სულ უფრო ძნელი ხდება. როგორც სისხლის სამართლის სტატისტიკა მოწმობს, ჯიბის ქურდებმა განსაკუთრებით სარფიანად „იმუშავეს“ პრინცესა ანას ქორწინებასთან დაკავშირებით გამართული ცერემონიის მონაწილეთა და მაყურებლთა შორის. თუმცა დაზარალებულთა რიცხვმა ამ უკანასკნელ თვეში იმდროინდელ „რეკორდს“ გადააჭარბა. პოლიციამ შესაბამისად გაზარდა პატრულების რაოდენობა. გაჩნდა ახალი პოსტები, განსაკუთრებით ხალხმრავალ ადგილებში. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ, რომელსაც არ აქვს იმედი პოლიციელთა წარმატებისა, დაავალდებულა მაღაზიების, რესტორნების, ბარების მფლობელები გამოაკრან ვამაფრთხილებელი განცხადება იმის შესახებ, რომ კლიენტებს ფხიზლად ეჭიროთ თვალი საკუთარ ჯიბეებსა და ხელჩანთებზე. ერთი სიტყვით, პოლიციის იმედი არ გმართლდა, და დოყლაპიობას ნუ გამოიჩენო...

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲦᲝᲚᲘ ᲝᲠ ᲐᲞᲐᲓᲛᲧᲝᲤᲒᲘ

ᲛᲘ საღოლი ავადმყოფს თავისად შეუძლია ჩათვალოს მხოლოდ ღამით. დილით კი იგი ვალდებულია საღოლი დაუთმოს სხვა პაციენტს, რომელიც კოსპიტალში საოპერაციოდ ან გამოსაკვლევად მოვიდა. „ასეთი სკანდალური სიტუაცია ინგლისის ბევრ საავადყოფოში შეიქმნა“ — განაცხადეს ამ პრობლემის განხილვის დროს პარლამენტში.

ინის შესახებ, რომ ინგლისის საავადმყოფოებში ადგილები აკლიათ და ავადმყოფები თვეებს განმავლობაში ელოდებიან თავიანთ რიგს, გაზეთები თითქმის ყოველდღე წერენ. მაგრამ ინავე საავადმყოფოებში არის „ვაკანტური“ საწოლებიც. ისინი შემონახულია მათთვის, ვისაც შეუძლია სოლიდური თანხა გაიღოს მკურნალობისათვის. ეს არის ეგრეთწოდებული „კერძო“ საწოლები, რომლებსაც ეკავებენ საავადმყოფოში „როლს-როისებით“, მოსული პირები.

„ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲤᲝᲢᲝᲠᲣᲠᲐᲗᲛᲔᲜᲘ, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ ინგლისში პორნოგრაფიად ითვლებოდა, ამჟამად ჩვეულებრივ გაზეთებში იბეჭდება. „დეილი მირორმა“, მაგალითად, თავისი მკითხველები მიაჩვია იმას, რომ პოლიტიკური კომენტარებისა და ეკონომიური პროგნოზების გვერდით ყოველდღე ბეჭდავს „შიშველი ნატურის“ მორიგ ნომუშს. ათობით სხვა გამოცემა კი საერთოდ გვერდს უვლის კომენტატორებსა და პროგნოზებს და უპირატესობას აძლევს ერთადერთ სფეროს — პორნოგრაფიას.

ასეთი „ლიტერატურის“ ბაზარი ინგლისში სულ უფრო იზრდება. ეურნალები და წიგნები შემოაქვთ ოკეანის გადმიდან, იხსნება ახალი „პორნო-მაღაზიები“, მაგრამ თუ წინათ ამ ბიზნესში გაბატონებული იყო გამოცემები „მხოლოდ მამაკაცებისათვის“, ახლა მათ კონკურენციას უწევს პროდუქცია, გათვალისწინებული „მხოლოდ ქალებისათვის“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 სექტემბერი. ინტელიგენციის ემიგრაცია ძირს უთხრის ინგლისის საზოგადოებას. ასეთი დასკვნა გამოიტანა ცნობილმა ეკონომისტმა სუსეკის უნივერსიტეტის პროფესორმა დ. სიერსმა, რომელიც მუშაობს ბრიტანეთის კუნძულებიდან ოკეანის გადმა, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცნიერთა და სპეციალისტთა ემიგრაციის პრობლემებზე.

ოფიციალური მონაცემებით, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ევროპიდან შეერთებულ შტატებში უფრო მაღალი ხელფასის სანაცვლოდ ემიგრაციაში წავიდა 80 ათასზე მეტი მეცნიერი. ყველაზე მეტად იზარალა ინგლისმა, საიდანაც 25 ათასამდე კაცი წავიდა.

არსებობს აგრეთვე ინტელიგენციის ემიგრაციის სხვა ფორმა — ფარული ემიგრაცია, როცა მეცნიერები თუ სპეციალისტები არ ტოვებენ ქვეყანას და მუშაობენ უცხოთის მონოპოლიებისათვის, რომლებიც მათი შრომის გამოყენების გზით დამატებითს ზემოგებას იღებენ.

ᲝᲥᲠᲝᲡ „ᲡᲙᲐᲢᲔᲜᲙᲘ“

Ი. ᲥᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ნახატი.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲞᲣᲜᲘᲝ ᲔᲜ ᲐᲚᲢᲝᲛᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ, ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘᲡ, ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘᲡ, ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲘᲡ, ᲩᲘᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲯᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲣᲑᲐᲚᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ჩვენი თანამემამულენი იმპერიაში

გმირული შრომით გვასახელეს

ამ სტრიქონების ავტორი ა. სამადალაშვილი ტრესტ „პეჩორგაზმშენის“ ინჟინერია. იგი დღეს გვაცნობს ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც სასახელოდ შრომობენ იმპერიაში.

ვორკუტელი მეშახტე, ლენინის ორდენოსანი ალექსანდრე რეხვიაშვილი.

ვორკუტელი მხატვრის რ. იუნიტერის ნახატი.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული ახალგაზრა და ალექსანდრე რეხვიაშვილი ჩამოვიდა ვორკუტაში, სადაც მეშახტე გახდა. აქ მან სახელი გაითქვა როგორც ჯარგმა მეშახტემ, რომელიც სისტემატურად ასრულებს ქვანახშირის მოპოვების გეგმას.

1965 წლიდან ა. რეხვიაშვილი სათავეში უდგას ქვანახშირის მომპოვებელთა ბრიგადას შახტმშენებლობა „ზაპოლიარნოეში“. მთელი ამ ხნის განმავლობაში ა. რეხვიაშვილის ბრიგადა სუკეთესოთა რიცხვშია. გასულ წელს, მისმა ბრიგადამ წლიური პროგრამა დაამთავრა დეკემბრის პირველ რიცხვებში და დამატებით ამოიღო ოცი ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი.

დღეისათვის, ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს ა. რეხვიაშვილის ბრიგადის მაღაროელებმა პირობა დადეს ათიონ 500-ათასიანი მიჯნა.

ბრიგადას ბევრი სიძნელე შეუქმნა სამთო-გეოლოგიური პირობების შეცვლამ — ქანის ფენოვანმა ფორმამ, მაგრამ ყველა სიძნელის მიუხედავად იგი. გადაჭარბებით ასრულებს დგალებას.

ამჟამად ლენინის ორდენის კავალრის ა. რეხვიაშვილის ბრიგადა კარგად ცნობილია თავისი საქმეებით და პეჩორის ქვანახშირის აუზის განვითარებაში შეტანილი წვლილით. მეცხრე ხუთწლედის ეს დიდმნიშვნელოვანი განმსაზღვრელი წელი საეტაპო გახდა კოლექტივის ბიოგრაფიაში. რეხვიაშვილმა და მისი ბრიგადის ამხანაგებმა პირველად დასახეს ასეთი მაღალი ზღუდე — 500 ათასი ტონა ქვანახშირი.

ამ შემუშავებულია სამუშაოთა ზუსტი გრაფიკი და ტექნიკურ ორნისძიებათა ნუსხა, რომლებიც ხელს უწყობენ ჩინებული შედეგების მიღებას.

ა. რეხვიაშვილის ბრიგადამ გრაფიკის გასწრებით დაამთავრა 1974 წლის ნახევარი წლის მოპოვების გეგმა. საუკეთესოდ შრომობენ მერგოლური კომუნისტი ისლამ მუსამედშინი, კომბაინერი ვ. პანჩენკო, ჰიდრავლიკოსი. ვ. ტიშატი და სხვები, ყველანი ებრძვიან მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

• • •

ტრესტ „პეჩორგაზმშენის“ (ტრესტის მმართველი დ. მამულაიშვილი) მშენებლებმა და მონტაჟელებმა ააგეს მორიგი საკომპრესორო სადგური „ს-11 კომის ასსრ-ის დასა სინდოროს რაიონში.

მშენებლებმა ვადაზე 3 თვით ადრე ჩააბარეს საკომპრესორო სადგური მაგისტრალური გაზსადენის „ჩრდილოეთის ელვარების“ ხაზზე.

ბევრი სიძნელე გადალახეს გაზსადენის მშენებლებმა უკაცრიელ ტაიგაში, უსწრებდნენ რა გრაფიკით დასახულ ვადებს.

აქ თავი გამოიჩინა ამხ. ტ. საღარეიშვილის ბრიგადამ, რომელმაც მანამდე მოიპოვა სრულიად საკავშირო პრემია სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მშენებელთა შორის.

ახალ სადგურს „ს-11-ს შეუძლია დღე-ღამეში გადაქაჩოს 4 მილიონი კუბური მეტრი ქვეყნისათვის საჭირო ცისფერი სათბობი. სადგურის ამუშავებით უფრო რიტმული გახდა გაზის მთელი მაგისტრალის მუშაობა.

ბრიგადა, რომელსაც ამხ. ტ. საღარეიშვილი ხელძღვანელობს გაზის მაგისტრალის მშენებელთა მოწინავე რაზმშია. იგი ზრდის მშენებლობის ტემპებს ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს, გადაჭარბებით ასრულებს გრაფიკით დასახულ გეგმას.

ა. სამადალაშვილი,
ქომის ასსრ, დაბა სინდოროი.

საქართველოს ქუთა-ბაჯში

ისვენებენ კოლმეურნეები

ტყიბული. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებში ნაყოფიერი შრომის შემდეგ მრავალი ტყიბულელი კოლმეურნე ისვენებს რესპუბლიკის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

ამ დღეებში წყალტუბოს სანატორიუმის საგზური მიიღო და დასასვენებლად გაემგზავრა ძირძველის მოწინავე კოლმეურნეობის ცნობილი მეჩაიე მ. ცირეკიძე; უწერის სანატორიუმ „ფაზისში“ მკურნალობს სოჩხეთის კოლმეურნეობის წევრი შ. ცნობილაძე, სურამში იკურნებს ჯანმრთელობას ორპირელი კოლმეურნე პ. ჩხიკვაძე.

მალე კოლმეურნეთა კიდევ ერთი ჯგუფი გაემგზავრება ზღვისპირეთის ავარაკებზე სამკურნალოდ.

იხაროს ჰერმა

ბათუმი, (საკ. კორ.). მანქანათმშენებლო ქარხანა ქალაქის ერთერთი მსხვილი და მოწინავე საწარმოა. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. წელიწადი არ გავა, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი რომ არ გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

ახლახან დამთავრდა 70-ბინიანი სახლის მშენებლობა. წლის ბოლოსათვის დაგეგმილია კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრება. მიმდინარე ხუთწლედში 200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე დაკმაყოფილდება ახალი ბინებით. ეს სამჯერ მეტია, ვიდრე გასულ ხუთწლედში.

შემოდგომის წვიმები

წლევანდელი სექტემბერი წვიმებით დაიწყო და რამდენიმე დღის განმავლობაში თითქმის გადაუღებლად წვიმდა. ტემპერატურამაც დაიწია. როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს თბილისის ამინდის ბიუროში აცნობეს, უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში ასეთი წვიმიანი ამინდი სექტემბრის პირველ დეკადაში არ გვქონია.

9-10 სექტემბერს გამოიდარა და კიდევაც დათბა. 10 სექტემბერს თბილისში 30 გრადუსი სითბო იყო.

11 სექტემბერს ღამით, აღმოსავლეთ საქართველოში განვითარდა ელვექის ხასიათის მძლავრი მოღრუბლულობა, რაც განაპირობა ჩრდილოღმოსავლეთიდან ცივი, ხოლო სამხრეთის რაიონებიდან შედარებით თბილი ჰაერის მასების შეჭოსვლამ. ამან აღმოსავლეთ საქართველოში გამოიწვია ნალექების დიდი რაოდენობა და ტემპერატურის დაცემა.

როგორი ამინდი იქნება დღეს, 12 სექტემბერს? **დასავლეთ საქართველოში** ცვლეობადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, რაიონის ხეობაში წამში 10-15 მეტრი სიძლიერის ქარი.

აღმოსავლეთ საქართველოში — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში წვიმა, ზოგან ნისლი, ხუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 20-25, მთაში — 14-19 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა, ტემპერატურა — 23-25 გრადუსი სითბო.

მომდევნო ორ დღეს იქნება იგივე ამინდი, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში წვიმა და ელვექი, ტემპერატურა ღამით — 12-17, დღისით — 20-25 გრადუსი სითბო.

ჩვენი ცნობარი

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი



აცხადებს, რომ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის და ეკონომიური ფაკულტეტების დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტებისათვის მომზადებული ლექციები ჩატარდება 1974 წლის 20 სექტემბრიდან.

მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2 (მაღლივი კორპუსი).

გამოცხადება სავალდებულოა.

თბილისის № 26 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1974-75 სასწავლო წლისათვის



სასწავლებელში მიიღებიან ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლის კურსდამთავრებული გოგონები და ვაჟები, მოსწავლეთა სასწავლებელში ჩარიცხვა იწარმოებს საკონკურსო შერჩევით განათლების მოწმობაში ნაჩვენები ნიშნების მიხედვით. უპირატესობა მიენიჭებათ ობლებს, სბავშვო სახლის აღზრდილებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდთა შვილებს, საწარმოო-ორგანიზაციათა და კოლკაშირული საგზურებით მოვლინებულ ახალგაზრდებს.

მოსწავლეთა მიღება იწარმოებს შემდეგ პროფესიებზე: 1. ხარატები, 2. მექანიკური სამუშაოების ამწყობი ზეინკლები, 3. განათების და ძალოვანი ქსელის ელექტრომონტიორები, 4. სამრეწველო ელექტროდანადგართა და მოწყობილობათა ელექტროზეინკლები, 5. ელექტრომემდუღებლები, 6. მეტროპოლიტენის გვირაბგამყავნები, 7. შემლესავ-მღებავ-მეფილეები, 8. შემლესავები, 9. ზეინკალ-სანტექნიკოსები, 10. მბაზვლები, 11. ავტოზეინკლები, 12. მეტროპოლიტენის ელექტრომემონტაჟეები.

სასწავლებელს აქვს ცალკეული ჯგუფები: თბილისის მმართველ-გამომთვლელი ექსპერიმენტული ქარხნის ბაზაზე, სადაც ახალგაზრდები შეისწავლიან მმართველ-გამომთვლელი მანქანების ელექტრომემონტაჟის (სქემების აწყობა დამონტაჟება) სპეციალობას. ამ სპეციალობაზე მიიღებიან მხოლოდ გოგონები.

სასწავლებელში სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

რუსულ სექტორზე მიიღებიან შემდეგ სპეციალობებზე: 1. ზეინკალ-სანტექნიკოსი, 2. მმართველ-გამომთვლელი მანქანების ელემენტაჟე, 3, ბეტონზეი.

სწავლის ვადა ერთი წელია.

სასწავლებელში სწავლა უფასოა, მოსწავლეებს, რომლებსაც კარგი აკადემიური წარმატება აქვთ, მიეცემათ სტიპენდია 30-დან 36 მანეთამდე.

ახალგაზრდებს, რომლებსაც ყველა სავანში ექნებათ შეფასება „ფრიადი“ 25 პროცენტით უდიდდებათ სტიპენდიის ოდენობა, გარდა ამისა მოსწავლეებს ეძლევათ ფულადი ანაზღაურება იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც ასრულებენ სწავლების პროცესში საბაზო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით საერთო საცხოვრებელში. ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის დრო ჩაითვლება უწყვეტ სტაჟად.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი სპეციალობის მიხედვით თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში, ლენინის ორდენოსანი თბილვაგონრემონტის სამმართველოს სამშენებლო ორგანიზაციებში, მმართველ-გამომთვლელი მანქანების ექსპერიმენტულ ქარხანაში.

ეს პირები, რომლებიც „ფრიადზე“ დამთავრებენ სასწავლებელს და იმუშავებენ თავიანთ სპეციალობაზე, უმაღლეს სასწავლებელში მონათესავე სპეციალობაზე წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწავლებისათვის ჩაირიცხებიან კონკურსს გარეშე. აღნიშნული პირები უმაღლეს სასწავლებელში წარმოებისაგან მოწყვეტით ჩაირიცხებიან საერთო წესის საფუძველზე სავალდებულო სამუშაო სტაჟის გარეშე.

განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემსვლელისათვის სასურველი პროფესიის ან სპეციალობის აღნიშვნით, განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა 286), 3. დაბადების მოწმობა, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. წვევამდელთათვის მიწერის მოწმობა, 6. პასპორტი, 7. ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ.).

სწავლა დაიწყება პირველ ოქტომბერს, დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექტორს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ავტალის გზატკეცილი №72-ბ (ლენინის რაიონი), ტელეფონი: 66-44-01; 66-45-80; 66-60-20, 66-61-39 66-40-33. ტრანსპორტი: მეტრო „დიდუბედან“ ტრამვაი 3; ავტობუსი: 54, 63, 64, 55, სადგურიდან: ავტობუსი 62, 11, 31. გადასასვლელი ხიდიდან: ტრამვაი 4, 11.

ქ. თბილისის № 60 ტექნიკური სასწავლებლის „სპეცსანტექმონტაჟის“ ფილიალი

დამატებით აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1974-75 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს შემდეგი სპეციალობის კადრებს: 1. ზეინკალი სანტექნიკოსებზე; 2. ზეინკალი ელექტრომემონტაჟეებზე; 3. ელექტრო-გაზშემდუღებლებზე; 4. მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობათა ამწყობი ზეინკლებზე; 5. ზეინკალი მეფუნუქეებზე.

სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია.

სასწავლებელში მიიღებიან ვაჟები, რომელთაც დამთავრებული აქვთ 10 კლასი.

სასწავლებელში ჩარიცხულნი მიიღებენ სტიპენდიას 30-დან 37 მანეთამდე თვეში და გამომუშავებულ თანხას დადგენილი წესით. სასწავლებელში სწავლის პერიოდი ითვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟად.

საშუალო განათლების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც სასწავლებელს წარჩინებით დამთავრებენ, უმაღლესი სასწავლების საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე. სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეებს სწავლის პერიოდში თავისუფლდებიან ერთი წლით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან.

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.

ფეხბურთი

ჩოგბურთის ამბები

პირველ ლიგაში

გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ფეხბურთში. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ თავის მოედანზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, სკა-მ ამავე ანგარიშით როსტოვში მოუგო აშხაბადის „სტროიტელს“, „კრილია სოვეტოვმა“ კუიბიშევში — სვერდლოვსკის „ურალმაშს“ — 3:0, მინსკის „დინამომ“ მინმამლური ანგარიშით 1:0 დაამარცხა სტუმრები— ლიპეცკის „მეტალურგის“ ფეხბურთელები. ბაქოს „ნეფტჩი“ თამაშობდა ორჯონიკიძეში „სპარტაკთან“ და დამარცხდა 0:1.

ქუთაისის „ტორპედო“ ასპარეზობდა ნალჩიკში ადგილობრივ „სპარტაკთან“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამრიგად, გათამაშებას კვლავინდებურად ლიდერობს „ლოკომოტივი“— 38 ქულა, სკა-ს 37 ქულა აქვს.

„სპორტლოტოს“ ნირაჟი

1974 წლის 10 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 25-ე ტირაჟი, რომლის შედეგები ასეთია:

„სპორტლოტო“ — 37 (სროლა), 36 (სლალომი), 44 (ფიგურული ციგურაობა), 7 (ბიატლონი), 13 (წყალ-სათხილამურო სპორტი), 46 (ჰოკეი).

„სპორტლოტო-2“ — 33 (რეგბი), 16 (ტანვარჯიში), 1 (ავიასპორტი), 26 (მოტობოლი), 4 (მთამსვლელობა), 9 (ციდაობა).

(საკადრესი).

სამ თანრიგში

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირზე საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს სამ თანრიგში ხუთიდან. ქალთა ფინალში მოსკოველმა ვ. გრანატუროვამ მოუგო კონიორს (ახალი ზელანდია) — 7:5, 6:3. მანვე ბოგომოლოვთან ერთად გადამწყვეტ მატჩში სძლია ამერიკელ დუეტს — მერფისა და ფრიტელს—7:5, 6:4. მოსკოველები ბოგომოლოვი და ბორისოვი გამარჯვებულნი გამოვიდნენ ვეთა წყვილებს შორის — მათ ფინალში ხუთ პარტიაში დაამარცხეს ძმები პამპულოვები (ბულგარეთი). ვეთა შორის უძლიერესი იყო ბ. პამპულოვი, ხოლო ქალთა წყვილებში — მერფი და კონორი.

ფორესტ — ჰილსში

22 წლის ამერიკელმა კონორსმა აშშ-ის ღია ჩემპიონატის ფინალში მოუგო ავსტრალიელ კენ როზუოლს — 6:1, 6:0, 6:1. ქალთა ფინალში ავსტრალიელმა ევონ გულაგონგმა წააგო ამერიკელ ბილი ჯინ კინგთან — 6:3, 3:6, 5:7. კინგი თანაგუნდელ როზმარი კაზალსთან ერთად უძლიერესი იყო წყვილთა თანრიგშიც. ვეთა დუეტების ასპარეზობა მოიგეს ამერიკელებმა სტენ სმიტმა და ბობ ლუტცმა, ხოლო შერეულ წყვილთა ასპარეზობა დამთავრდა პაოლო ტიგარდენისა (აშშ) და ჯონ მასტერსის (ავსტრალია) გამარჯვებით.

მოკლედ...

კალათბურთი. სსრ კავშირის ნაკრებმა ამერიკაში ტურნეს დასასვენთი, მეექვსე მატჩი გამართა აშშ-ის ნაკრებთან და დამარცხდა ანგარიშით 72:82 (33:41).

მოტოსპორტი. სოხუმში გაიმართა საქართველოს პირველობის ნახევარფინალური მატჩი ზოტობურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ზონებში გამარჯვებული ქუთაისისა და თელავის გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ქუთაისელებმა, რომლებიც ფინალურ მატჩში 14 სექტემბერს თბილისში შეხვდებიან ადგილობრივ „ივერიას“.

ჰოკეი. გუშინ მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდების მეორე მატჩი გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. თამაში გვიანობამდე გრძელდებოდა.

ფეხბურთი. გაიმართა მეორე ლიგის მესამე ზონის საკავშირო პირველობის მორიგი შეხვედრები: ბათუმის „დინამომ“ — „ფოთის“ კოლხეთი“ — 2:1; გორის „ლილა“ — ლანჩხუთის „გურია“ — 1:0; სამტრედიის „ლოკომოტივი“ —ბელაია კალიტვას „კალიტვა“ — 3:1; მახარაძის „მერცხალი“ — ზუგდიდის „დინამო“ — 0:1.

სპორტულ ჟურნალისტთა კლუბში

რიგა, 11 სექტემბერი. (საკადრის კორ.). ლატვიის დედაქალაქში გამართულმა სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პლენუმმა მოისმინა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სპორტული გაზეთების რედაქტორთა შემოქმედებითი ანგარიშები სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პრესაში გაშუქების თაობაზე. განხილვის შედეგების შეჯამებისას ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარმა რედაქტორმა ნ. ს. კისელიოვამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპარტაკიადის პროპაგანდას პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით,

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე ფედერაციის პასუხისმგებელი მდივნის ა. ლ. ლეიკინის მოსაზრება საბჭოთა სპორტის პროპაგანდის საერთაშორისო ასპექტების შესახებ.

მუზეუმი

ალაზანზე

ხ. კილაძის ფოტო.

ტელევიზია

12 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30— „ძლიერნი, გაბედულნი და მოხერხებულნი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი სპექტაკლი „უსასრულო“. (III ნაწილი), 11.55 — სატელევიზიო ფილმი — მელრის და ცცვავს „ხინაოლგ“, 12.55 — მხატვრული ფილმი „ქალაქური რომანსი“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 17.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 18.05— სატელევიზიო ფილმი „გულის ძახილი“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — „ათვისტის ტრიბუნა“, 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „გლობუსი“, 19.50 — „გიორგი შავგულიძე კინოდოკუმენტებში“, 20.05 — „პოეტის თვალსაწიერი“, 20.30 — „გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი. მღერის „გორდელა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. საბჭოთა კავშირში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დღეების საზეიმო დასურვა — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტეკონომიაში, 18.35 — განცხადებები, 18.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 19.10 — კონცერტი, 20.00 — დოკუმენტური ფილმი, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „მარტოხელა მგელი“.

რადიო

13 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — რ. შჩედრინი. ნაწყვეტები ოპერიდან „არა მარტო სიყვარული“, 11.45 — „მოგითხრობთ კომუნისტებზე“, 12.15 — მღერიან ნ. აბესაძე და ს. კორშუნაძე, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ა. საჯაიას ლექსები, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, — 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ბ. კაფლაევი. სიმფონიური ციკვები, 13.50 — მოსწავლეთათვის. „გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — დ. ჩხეიძე. კამერული ნაწარმოებები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — მუსიკა, 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — კონცერტი. ბახის ნაწარმოებებიდან, 22.00— „ალ. ყაზბეგი“ (დაბადების 125 წლისთავისათვის), 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

12 სექტემბერი

რუსთაველის დრამატული (რკინიგზელთა სახლში) — „ბანკ ბანი“.

?? ვნახოთ, რა ?? ?????????

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებიდ — 99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უგ 14119

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14